საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია – კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: კ. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.06.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 083/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. გ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. გ.-ისათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2019 წლის 25 ივნისს საჩივრით მომართა კ. ს.-მა და მოითხოვა ადვოკატ თ. გ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2013 წელს მასსა და ადვოკატ თ. გ.-ს შორის გაფორმდა შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე. ადვოკატს უნდა შეესწავლა მისი საქმე და დახმარებოდა ქონების დაბრუნებაში. ამ მიზნით ადვოკატს უნდა დაეცვა კ. ს.-ის და მისი დედის - გ. ს.-ის ინტერესები სამართალდამცავ ორგანოებში, საქართველოს პროკურატურასა და ყველა ინსტანციის სასამართლოში.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან ადვოკატს გადასცა 1000 ევრო, 2018 წელს 200 აშშ დოლარი, ასევე წვრილმან თანხებს აძლევდა ხშირად. ადვოკატი წლების განმავლობაში არ

აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე და მის საქმეზე დღემდე არაფერი გაუკეთებია. მათ შორის, ადვოკატმა არ მიაწოდა ინფორმაცია გამოსახლების თაობაზე.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მის საქმეზე პროკურატურამ შეწყვიტა გამოძიება (დადგენილება N), ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არაერთი შეტანის შემდეგ მიიღო წარმოებაში და საბოლოოდ, საქმე წააგო (საქმე N2/26780-17). საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ დაპირების მიუხედავად, ადვოკატმა ბინებს ყადაღა არ დაადო და ვერაფერი გააკეთა მისი გამოსახლების საქმეზე.

1.5 2019 წლის 15 ივლისის განცხადებაში საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ პროკურატურის მიერ გამოძიების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია მან გაიგო მას შემდეგ, რაც დადგენილება გადასცა პროკურატურამ, ადვოკატს მისთვის ეს ინფორმაცია არ მიუწოდებია. ასევე, საქმის შეწყვეტა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ადვოკატმა პროკურატურას მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, თითქოს მისმა ძმამ ბინა გაყიდა თაღლითობით.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ვერაფერი გააკეთა ნოტარიუსის უარზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის თაობაზე. სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში ადვოკატის არც ერთი განცხადება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ. ადვოკატის გულგრილი ქმედების შედეგია, რომ მან დღემდე ვერ აიღო სამკვიდრო მოწმობა, რადგან დასადგენია ნათესაური კავშირი და ადვოკატმა განცხადება სამართლებრივად ვერ გამართა. კ. ს.-ის განმარტებით, ადვოკატის მოქმედების შედეგად მას მიადგა ზიანი, ბინიდან გამოასახლეს.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ასევე დაარღვია კონფიდენციალობის პრინციპი, როდესაც მეორე მხარეს გადასცა ნოტარიუსის დადგენილება, რითაც აცნობა იმ ფაქტის შესახებ, რომ მას ჯერ სამკვიდრო არ ჰქონდა მიღებული.

1.8 2019 წლის 18 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატმა დატოვა დაცვის გარეშე და უარს აცხადებს მის წარმომადგენლობაზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა თ. გ.-მა განმარტა, რომ მან კ. ს.-თან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა 2013 წლის 24 ივლისს. ამავე დღეს, კლიენტის სახელზე გამოწერა ორდერი, რომელიც ითვალისწინებდა კ. ს.-ის ინტერესების დაცვას სამართალდამცავ ორგანოებში, პროკურატურასა და სასამართლოში. ადვოკატის განმარტებით, კლიენტს ამ პერიოდში სურდა დავის წარმოება სისხლის სამართლის კუთხით, რადგან არ ჰქონდა სახსრები - სახელმწიფო ბაჟის თანხა საქმის სამოქალაქო კუთხით წარმოებისათვის.

2.2 ადვოკატი განმარტავს, რომ საქმეზე ორდერის გამოწერის შემდეგ მოიძია მასალები არქივიდან; ჯერ განცხადებით მიმართა საგამოძიებო ორგანოებს, ხოლო შემდეგ საჩივრით; დაესწრო კ. ს.-ის და მისი ოჯახის წევრთა დაკითხვას. პროკურატურამ შეწყვიტა გამოძიება (დადგენილება N), რომელიც ადვოკატმა გაასაჩივრა ზემდგომ პროკურორთან. ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტის საქმეზე გააკეთა ყველაფერი, რის საშუალებასაც კანონი აძლევდა.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტთან დადებული შეთანხმების თანახმად, თუ იარსებებდა სხვა დავები, მხარეთა შორის უნდა გაფორმებულიყო დამატებითი შეთანხმება, შესაბამისი ანაზღაურებით. აქვე, ადვოკატი განმარტავს, რომ მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ

სამოქალაქო კუთხით საქმის წარმოებაზე, რისთვისაც კლიენტმა მას ჰონორარის სახით გადასცა 500 ევრო. ვინაიდან კლიენტმა ვერ მოიძია სახელმწიფო ბაჟის თანხა, საქმის წარმოება სამოქალაქო სასამართლოში იმ ეტაპზე არ მომხდარა და ადვოკატმა უკან დაუბრუნა საჩივრის ავტორს 1000 ლარი. მოცემული დავა დასრულდა, რის შემდეგაც კლიენტი წავიდა საქართველოდან და ადვოკატისათვის უცნობი იყო ინფორმაცია მისი დაბრუნების შესახებ.

2.4 ადვოკატის განმარტებით, კ. ს. მას დაუკავშირდა 2018 წელს და უამბო, რომ ჰქონდა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა და მისი ოჯახი გახდა სოციალურად დაუცველი. ასევე, სააპელაციო სასამართლოში მიმდინარეობდა საქმის წარმოება დედამისის გამოსახლების მოთხოვნით და ამ საქმეში სთხოვა იურიდიული მომსახურების გაწევა. ადვოკატი განმარტავს, რომ რადგან 2013 წელს სისხლის სამართლებრივი დავის პირობებში, მიუხედავად მისი მცდელობისა, კლიენტმა შედეგი ვერ მიიღო, ჰუმანურობიდან გამომდინარე, მან გადაწყვიტა უანგაროდ, დამატებითი ანაზღაურების გარეშე გაეწია კლიენტისათვის დახმარება. თუმცა, კ. ს.-მა მას გადასცა 500 ევრო საქმის სამოქალაქო წესით სასამართლოში საწარმოებლად.

2.5 ადვოკატი კლიენტს და დედამისს, გ. ლ.-ს წარმოადგენდა მოპასუხე საქართველოს უსინათლოთა კავშირის წინააღმდეგ სამოქალაქო დავაში, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება (საქმის N2/12986-18). 2018 წლის 31 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით (საქმე N2/12986-18) მოსამართლემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა გ. ლ.-ის წარმომადგენლის თ. გ.-ს მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მოპასუხეს აეკრძალა ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. ამ საქმეზე 2018 წლის 05 დეკემბრის სხდომა გადაიდო, რადგან მოსარჩელის წარმომადგენელმა თ. გ.-მა დააზუსტა სარჩელი.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საქმის წარმოების პროცესში, ისე, რომ თავად არ იყო ინფორმირებული, პროცესზე კლიენტის და დედამისის ინტერესების დასაცავად მოვიდა ოთხი ადვოკატი. სხვა ადვოკატთა მიერ არ ხდებოდა მისი ინფორმირება, თუ რა სტრატეგიით აპირებდნენ მოქმედებას და არ ხდებოდა ერთობლივად საქმის წარმოება.

2.7 ადვოკატი თ. გ. წარმოადგენდა კ. ს.-ს ინტერესებს ასევე, ადმინისტრაციულ საქმეში, სადაც მოპასუხეს წარმოადგენდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღსრულების პოლიცია, ხოლო დავის საგანს - სამართალურთიერთობის არარსებობის დადგენა, ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავება. ადვოკატი თ. გ., კლიენტის მიერ საქმეში ჩართულ სხვა ადვოკატებთან ერთად, გამოცხადდა 2019 წლის 15 იანვრისა და 24 იანვრის მოსამზადებელ სხდომებზე, ასევე 18 თებერვლის მთავარ სხდომაზე.

2.8 კ. ს.-ს წარმომადგენელმა თ. გ.-მა 2018 წლის 19 ნოემბერს განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების - პირთა შორის ნათესაური კავშირის, უფლების დამდგენი საბუთების პირისადმი კუთვნილების და სამკვიდროს მიღების ფაქტების დადგენის მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 26 ნოემბრის დადგენილებით უარი თქვა უდავო წარმოების წესით განსახილველი განცხადების წარმოებაში მიღებაზე (საქმე N2/33638-18).

2.9 ადვოკატმა თ. გ.-მა 2019 წლის 24 იანვარს N განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის მოთხოვნით, რაზედაც თ. გ.-ს დაუდგინდა ხარვეზი.

2.10 ადვოკატმა თ. გ.-მა 2019 წლის 29 მარტს განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების - პირთა შორის ნათესაური კავშირის, უფლების დამდგენი საბუთების პირისადმი კუთვნილების და სამკვიდროს მიღების ფაქტების დადგენის მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 03 აპრილის დადგენილებით უარი თქვა უდავო წარმოების წესით განსახილველი განცხადების წარმოებაში მიღებაზე (საქმე N2/6862-19).

2.11 ადვოკატი განმარტავს, რომ საქართველოს უსინათლოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ მიმდინარე სამოქალაქო დავაში (საქმე N2/12986-18), საჭირო იყო დამატებითი დოკუმენტების მოძიება, რაც დამოკიდებული იყო გარკვეულ საფასურთან, შეუსაბამობების გამო საჭირო იყო დოკუმენტების გასწორება, რის გამოც, კლიენტთან შეთანხმებით, ადვოკატმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქმის წარმოების გადადება. პროცესი გადადეს მოსამზადებელი სხდომიდან, შემდეგ პროცესებში ადვოკატს არ მიუღია მონაწილეობა, რადგან არ იმყოფებოდა საქართველოში. აღნიშნულის თაობაზე, ადვოკატმა კ. ს.-ს აცნობა და უთხრა, რომ მიმართავდა სასამართლოს სხდომების გადადების მოთხოვნით, რაზეც კლიენტმა განუმარტა, რომ ამის საჭიროება არ არსებობდა, რადგან მას ჰყავდა სხვა ადვოკატები, რომლებიც მიიღებდენ მონაწილეობას პროცესებში. ადვოკატის განმარტებით, მან არ იცოდა, უნდოდა თუ არა კლიენტს მისი მომსახურების გაგრძელება.

2.12 ახალი ადვოკატების მიერ დაზუსტდა სარჩელი და მას, როგორც ადვოკატს, არ მიეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო საქმისწარმოებაში. აღნიშნულის შემდეგ, ადვოკატი მიხვდა, რომ კ. ს. მის მომსახურებას აღარ საჭიროებდა. შესაბამისად, ადვოკატმა თ. გ.-მა შეწყვიტა კ. ს.-ის ინტერესების დაცვა, რის თაობაზეც ინფომაცია მიაწოდა კლიენტს.

2.13 2019 წლის 20 მაისის სასამართლოს მთავარ სხდომაზე კ. ს. წარმოდგენილი იყო ახალი ადვოკატებით. სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებასაც ახალი ადვოკატი დაესწრო. 2019 წლის 31 მაისის გადაწყეტილებით საქმეზე N2/12986-18 სასამართლომ არ დააკმაყოფილა კ. ს.-ის და გ. ს.-ის მოთხოვნა. აღნიშნული გადაწყვეტილება კ. ს.-მა სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ახალი ადვოკატის დახმარებით.

2.14 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტის დედის საქმეში მან შეიტანა სარჩელი სამოქალაქო კუთხით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით; მისი გაცხადების საფუძველზე გადავადდა გამოსახლების პროცესი სასამართლოს გადაწყვეტილებით; აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან დაიწყო ადმინისტრაციული დავა, რათა შეჩერებულიყო აღსრულება, რადგან იმ დროისათვის, როდესაც კლიენტმა მას მიმართა, ბინა უკვე გაყიდული იყო საჯარო აუქციონზე და შემძენი ითხოვდა ბინის გათავისუფლებას. ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს აუხსნა, რომ მოქმედებდა კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი და უნდა ეცადათ დროის მოგება, სანამ ძირითადი სარჩელით შეძლებდნენ ზიანის ანაზღაურებას.

2.15 ადვოკატი განმარტავს, რომ პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, რომელმაც არ დააკმაყოფილა განმცხადებლის სარჩელი, ტელეფონის მეშვეობით ესაუბრა კლიენტს, რადგან თავად არ იმყოფებოდა საქართველოში. საუბრისას კ.

ს.-მა აცნობა თავისი მძიმე მდგომარეობა, რის გამოც, ჰუმანურობიდან გამომდინარე, მან კლიენტს დაუბრუნა დამატებით 900 ლარი, რაზეც შეადგინეს ხელწერილი.

2.16 2019 წლის 12 აგვისტოს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ კლიენტს ჯამში დაუბრუნა 1900 ლარი.

2.17 გამოსახლების თაობაზე ინფორმაციის მიუწოდებლობასთან დაკავშირებით საჩივრის ავტორის პრეტენზიას ადვოკატი არ ეთანხმება და განმარტავს, რომ კ. ს.-თან ერთად ესწრებოდა გამოსახლების პროცესს და სრულყოფილ ინფორმაციას აწვდიდა კლიენტს. ადვოკატის განმარტებით, გამოსახლების პროცესში ჩართული იყო ასევე გამგეობის წარმომადგენელი და სააღსრულებო ბიუროს სოციალური სამსახურის წარმომადგენელი, რომელთა მეშეობითაც ხდებოდა ასევე კ. ს.-ის ინფორმირება გამოსახლების პროცესთან დაკავშირებით. ადვოკატის განმარტებით, საქმის მიმდინარეობის თაობაზე კლიენტის ინფორმირება ხდებოდა პერიოდულად, როგორც სატელეფონო საშუალებით, ისე პირადი შეხვედრების დროს.

2.18 მეორე მხარისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით, ადვოკატი განმარტავს, რომ სხდომაზე, კლიენტთან წინასწარ შეთანხმებით, წარადგინა ნოტარიუსის დადგენილება, რომელშიც ეწერა, რის გამო ვერ მიიღებდა კ. ს. სამკვიდროს (მამამისის გარდაცვლილი მშობლების სახელში და გვარებში იყო ცდომილება). ადვოკატის განმარტებით, კლიენტი ამ დადგენილების წარდგენას მიიჩნევს კონფიდენციალობის დარღვევად, რაც არასწორია, რადგან ნოტარიუსის დადგენილება ადვოკატმა წარადგინა სასამართლოში კლიენტთან შეთანხმებით, პროცესის გადადების მიზნით, კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, იმისთვის, რომ დრო ჰქონოდათ დადგენილებაში მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად.

IV სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 კ. ს.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 25 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2013-2018 წლებში. შესაბამისად, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. გ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით, შემდგომში „დებულება“, (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ თ. გ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი მის საქმეს აწარმოებდა არაკვალიფიციურად და არაკეთილსინდისიერად, ადვოკატის მომზადებული სარჩელის მიღებაზე სასამართლომ არაერთხელ თქვა უარი; სისხლის სამართლის საქმეზე პროკურატურამ ადვოკატის მიერ არასწორი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე შეწყვიტა გამოძიება და ადვოკატმა არ მიაწოდა ინფორმაცია გამოსახლების თაობაზე;

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. გ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.5).

5.2.2 ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2.).

5.2.3 ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

5.3 ადვოკატმა თავის საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად.

5.4 „ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ასევე, ადვოკატი ვალდებულია იქონიოს სისტემატური კომუნიკაცია კლიენტთან საქმის წარმოების პროცესში, მასთან წინასწარი შეთანხმებისამებრ დასახოს დაცვის სტრატეგია და განახორციელოს შესაბამისი სამართლებრივი მოქმედებები“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N125/18).

5.5 „ადვოკატი უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N074/10).

5.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ თ. გ.-ს შეთანხმებული ჰქონდა დაცვის სტრატეგია კ. ს.-თან როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე. ადვოკატმა კლიენტს განუმარტა, რომ საქმის წარმოება სჯობდა სამოქალაქო სამართალწარმოების კუთხით, მაგრამ რადგან კლიენტი ვერ იხდიდა სახელმწიფო ბაჟის თანხას, პირველ ეტაპზე ადვოკატმა განცხადებით მიმართა პროკურატურას, რაც კლიენტთან შეთანხმებით განხორციელდა. ადვოკატს კლიენტის სახელზე, მასთან შეთანხმებით გაცემული აქვს ორდერი 2013 წლის 24 ივლისს, სადაც მითითებულია, რომ ადვოკატ თ. გ.-ს ევალება განახორციელოს კ. ს.-ის ინტერესების დაცვა

სამართალდამცავ ორგანოებში, საქართველოს პროკურატურასა და ყველა ინსტანციის სასამართლოში, რომელიც სადავოდ არ გაუხდია საჩივრის ავტორს. გამოძიების შეწყვეტის გამომწვევ მიზეზებს რაც შეეხება, ადვოკატი უარყოფს, რომ მან პროკურატურას მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, თითქოს კლიენტის ძმამ ბინა გაყიდა თაღლითობით და ეს გახდა გამოძიების შეწყვეტის საფუძველი. შესაბამისად, რადგან მხარეებს აღნიშნულ საკთხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციები აქვთ, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა მტკიცების ტვირთის გადანაწილებასთან დაკავშირებით. საპროცესო კოლეგიის განმარტებით, საჩივრის ავტორს ეკისრება მტკიცების ტვირთი, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, დაადასტუროს, რომ სწორედ ადვოკატმა თ. გ.-მა მიაწოდა პროკურატურას არასწორი ინფორმაცია, რაც გახდა საქმეზე გამოძიების შეწყვეტის საფუძველი. გამომდინარე იქიდან, რომ საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები, საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ვერ დადასტურდა თ. გ.-ის მიერ გამოძიებისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების ფაქტი, რის გამოც არაკვალიფიციური და არაკეთილნდისიერი ქმედების საფუძვლით არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა თ. გ.-ის მიმართ, ამ ნაწილში.

5.7 წარმომადგენლობის პროცესში, ადვოკატ ტ. გ.-მა განცხადებით მიმართა პროკურატურას, კ. ს.-ის სახელით წარადგინა სარჩელი და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება სასამართლოში, გ. ს.-ის სახელით შეიტანა სარჩელის უზრუნველყოფის განცხადება, საიდანაც ნაწილი დაკმაყოფილდა. კერძოდ, მოპასუხეს აეკრძალა ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა; თუმცა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა და კ. ს.-ის სახელით შეტანილი სარჩელისა და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი, რაც საპროცესო კოლეგიის განმარტებით, არ შეიძლება, თავისთავად, ჩაითვალოს ადვოკატის არაკვალიფიციურ და არაკეთილსინდისიერ ქმედებად. საპროცესო კოლეგიის განმარტებით, კლიენტისათვის არასასურველი შედეგის დადგომა არ შეიძლება გაიგივდეს ადვოკატის არაკვალიფიციურ და არაკეთილსინდისიერ მომსახურებასთან.

5.8 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ადვოკატის კვალიფიციურობისა და კეთილსინდისიერების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ორი ძირითადი საკითხის განსაზღვრა: (1) ადვოკატმა კლიენტთან შეათანხმოს დაცვის სტრატეგია და მოსალოდნელი შედეგების შესახებ მოახდინოს კლიენტის ინფორმირება; და (2) ადვოკატის მიერ შერჩეული დაცვის სტრატეგია შესაბამისობაში იყოს კანონთან. სხვა მხრივ, თუ რამდენად ეფექტიანი იყო ადვოკატის მიერ შერჩეული დაცვის სტრატეგია, არ შეიძლება შეფასების საგანი გახდეს, რადგან ადვოკატი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში (აპეკ, მუხლი 2). აღნიშნული კი გულისხმობს დაცვის სტრატეგიის დამოუკიდებლად განსაზღვრასაც, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს კლიენტთან.

5.9 კოლეგიის შეფასებით, წარმოდგენილი საქმის მასალებით იკვეთება, რომ ადვოკატმა თ. გ.-მა იმ პერიოდში, როდესაც ის წარმოადგენდა კ. ს.-ის და დედამისის ინტერესებს, მონაწილეობა მიიღო კლიენტის ყველა დავაში, როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი კუთხით. ადვოკატის საქმეში ჩართულობა არ ყოფილა ფორმალური: ადვოკატის საადვოკატო მოქმედებები მიმართული იყო კლიენტის ინტერესის გასატარებლად. აგრეთვე, ადვოკატის მიერ შერჩეული სტრატეგია იყო კლიენტთან შეთანხმებული და კანონის შესაბამისი, რის გამოც კვალიფიციური და კეთილსინდისიერი

წარმომადგენლობის ვალდებულების დარღვევის საფუძვლით, ამ ნაწილშიც, არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ.

5.10 წარმოდგენილი საქმის მასალებით იკვეთება, რომ კლიენტი იყო ინფორმირებული თავისი საქმის მიმდინარეობის შესახებ, ესწრებოდა სასამართლოს სხდომებს, ღებულობდა ინფორმაციას გამგეობასთან და სოციალურ სამსახურთან მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. კ. ს.-ს არ ჰქონდა შეზღუდული ადვოკატთან კომუნიკაცია. შესაბამისად, კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორი ფლობდა ინფორმაციას მის საქმესთან დაკავშირებით, რის გამოც აღნიშნული საფუძვლით (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.2, კოდექსის 8.6 მუხლები - არაინფორმირებულობა) არ უნდა აღიძრას დევნა ადვოკატ თ. გ.-ის მიმართ.

5.11 საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა მისცა გარანტია მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით, კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. გ.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.14.1 ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.3).

5.12 „ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში ნდობის ამაღლებისა და დაფასებისათვის. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მისგან მიღებული საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნდობას და ასევე, კლიენტს უჩენს არასწორ მოლოდინს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი და კლიენტის მიერ შესაძლო რისკების შეფასება რთულდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ გაცემული გარანტია საფრთხეს უქმნის, როგორც საადვოკატო საქმიანობისადმი სანდოობას, ისე, მართლმსაჯულების სისტემისადმი დამოკიდებულებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N077/13).

5.13 კოლეგია აღნიშნავს, რომ გარანტიის მიცემასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს, რომელმაც დისციპლინური საქმისწარმოების ამ ეტაპისათვის, კოლეგიას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისი მტკიცებულება უნდა წარუდგინოს აღნიშნულის თაობაზე. ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პოზიციას და განმარტავს, რომ გარანტია არ მიუცია კლიენტისათვის. ადვოკატი უარყოფს გარანტიის მიცემის ფაქტს, საჩივრის ავტორს, განმარტების გარდა არ წარმოუდგენია გარანტიის მიცემის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს დააკმაყოფილებდა. შესაბამისად, არ დასტურდება ადვოკატ თ. გ.-ის მიერ ეთიკის კოდექსის 8.3 მუხლით დადგენილი ეთიკური ვალდებულების დარღვევა და მოცემულ ნაწილში, არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა მის მიმართ.

5.14 საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა მოწინააღმდეგე მხარეს მიაწოდა მის საქმეზე კონფიდენციალური ინფორმაცია, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. გ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.14.1 ადვოკატი ვალდებულია კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1, ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1).

5.14.2 ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, როგორც კლიენტის თანხმობით, ასევე დამოუკიდებლად, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაციის გამოყენება წარმომადგენლობის პროცესში აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე თუ მისი გამჟღავნება კლიენტს ადვოკატისათვის წინასწარ არ აუკრძალავს (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.2(ა,ბ), ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.4(ა,ბ)).

5.15 „ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი საქმესთან დაკავშირებით იღებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, საქმე #054/13).

5.16 ნოტარიუსის დადგენილება, კოლეგიის განმარტებით, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რადგან არ არის საჯარო და ადვოკატის მიერ მოპოვებულია კლიენტის საქმის წარმოების პროცესში. თუმცა, კანონმდებლობა ითვალისწინებს რამდენიმე გამონაკლისს, მათ შორის კლიენტის თანხმობას და კლიენტის ინტერესების დაცვის მიზანს, რა დროსაც ადვოკატს უფლება აქვს გაამჟღავნოს ამგვარი ინფორმაცია. ადვოკატმა სასამართლოში კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით წარადგინა ნოტარიუსის დადგენილება, შეთანხმებული იყო კლიენტთან და ამ მტკიცებულების გამოყენება წინასწარ არ აუკრძალავს კლიენტს ადვოკატისათვის. კოლეგია იზიარებს ადვოკატის პოზიციას, რომ დადგენილების სასამართლოში წარდგენა განპირობებული იყო კლიენტის ინტერესით, დაცვის უფლების ეფექტიანი სარგებლობისათვის, საქმის წარმატებით დასრულებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებისათვის დამატებითი დროის მოგების მიზნით. კოლეგიის განმარტებით, ინფორმაციის გამჟღავნების აკრძალვასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი აკისრია კლიენტს, მოცემულ შემთხვევაში - კ. ს.-ს. საჩივრის ავტორმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება, რომელიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაარწმუნებდა კოლეგიას, რომ ნოტარიუსის დადგებილების წარდგენა კლიენტისაგან წინასწარ ჰქონდა აკრძალული ადვოკატს. შესაბამისად, კოლეგიის განმარტებით, ადვოკატ თ. გ.-ის მიმართ კონფიდენციალობის დარღვევის საფუძვლით არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

5.17 საპროცესო კოლეგიამ, ასევე, იმსჯელა ადვოკატ თ. გ.-ის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების თაობაზე:

5.17.1 კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

5.18 „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი

შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე #037/14).

5.19 „ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #098/17).

5.20 საქმეში არსებული დოკუმენტაციით და მხარეთა პოზიციებით დგინდება, რომ ადვოკატმა თ. გ.-მა კლიენტისაგან საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით, ჯამში მიიღო 1000 ევროს ექვივალენტი ლარში, საიდანაც ადვოკატმა კლიენტს დაუბრუნა 1900 ლარი (საქმეში წარმოდგენილია ორი ხელწერილი).

5.21 ადვოკატის მიერ გაწეული სამუშაოს და მიღებული ჰონორარის შეფასების შედეგად, კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა დაიცვა პროპორციულობა კლიენტისათვის დასაბრუნებელი გამოუმუშავებელი ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისას. შესაბამისად, არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და ადვოკატ თ. გ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის საფუძველზე.

5.22 საპროცესო კოლეგიამ, საჩივრის ავტორის მოთხოვნიდან გამომდინარე, ასევე იმსჯელა ადვოკატის მხრიდან დაცვის უფლების გარეშე დატოვების ვალდებულების შესაძლო დარღვევაზე.

5.22.1 ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.7).

5.23 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, ყოველგვარი მიზეზის დასახელების გარეშე, შეწყვიტოს კლიენტთან დადებული ხელშეკრულება, თუ კლიენტს არ ეზღუდება დაცვის უფლებით სარგებლობა. შესაბამისად, დაცვის უფლების გარეშე დატოვება დაკავშირებულია გონივრულ ვადასთან. კერძოდ, ადვოკატმა გონივრული ვადით ადრე უნდა გააფრთხილოს კლიენტი, რომ წყვეტს მასთან ხელშეკრულებას. საპროცესო კოლეგია აქვე განმარტავს, რომ როდესაც კლიენტი წარმოდგენილია რამდენიმე ადვოკატით, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო, არ შეიძლება ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ერთი ადვოკატის მიერ ხელშეკრულების გაუქმება ჩაითვალოს კლიენტის დაცვის უფლების გარეშე დატოვებად, რადგან კლიენტს ჰყავს სხვა ადვოკატები იმავე საქმეზე და უზრუნველყოფილია მისი დაცვის უფლება.

5.24 შესაბამისად, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ არ არსებობს ადვოკატის მიმართ, ეთიკის კოდექსის 8.7 მუხლის შესაძლო დარღვევით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.25 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, კლიენტმა ვერ დაადასტურა გარანტიის მიცემისა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.3) და კონფიდენციალური ინფორმაციის, თუნდაც კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით გამჟღავნების აკრძალვის ფაქტი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 7.1, 7.3(ბ), ეთიკის კოდექსი, მუხლები 4.1, 4.4); თავის მხრივ, დადასტურდა ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირების (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6), კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5), ხელშეკრულების 8.7 მუხლთან შესაბამისობაში შეწყვეტისა და კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15) ფაქტი, რის გამოც არ არსებობს ადვოკატ თ. გ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.26 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N083/19 ადვოკატ თ. გ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/